სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში სხვადასხვა ტიპის 30 დავალებაა. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-24, 30.1-30.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით X ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. კონფლიქტურ სიტუაციაში ურთიერთობის რომელი სტილი ხასიათდება მოლაპარაკებებისა და კომპრომისისადმი ღიაობით, თუმცა არა საკუთარი უფლებების დათმობის ხარჯზე?

ა) ინსტიქტური;

ბ) აგრესიული;

გ) ასერტული;

დ) პასიური.

(1) **2. რა ეწოდება თვითმმართველი ქალაქის ან თემის წარმომადგენლობით ორგანოს, რომელსაც ირჩევს შესაბამისი ტერიტორიის მოსახლეობა პირდაპირი, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე?**

ა) მუნიციპალიტეტი;

ბ) საკრებულო;

გ) კომიტეტი;

დ) გამგეობა.

(1) **3. რომელი საერთაშორისო დოკუმენტი მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1989 წელს?**

ა) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია;

გ) კლიმატის ცვლილებების კონვენცია;

დ) ბავშვის უფლებათა კონვენცია.

(1) **4. რომელი შემთხვევა წარმოადგენს ძალაუფლების ჰორიზონტალური დანაწილების პრინციპის დარღვევას?**

ა) აღმასრულებელი ხელისუფლება გავლენას ახდენს სასამართლოს გადაწყვეტილებებზე;

ბ) საპარლამენტო ფრაქცია უსაფუძვლოდ აკრიტიკებს მთავრობის საქმიანობას;

გ) მთავრობა წარადგენს საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტში;

დ) პრეზიდენტი ვეტოს ადებს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს.

(1) **5. საზოგადოებრივი ურთიერთობების რომელი სფერო რეგულირდება ადმინისტრაციული სამართლით?**

ა) ადამიანებს შორის კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები;

ბ) სამართლის ყველა დარგის ზოგადი და სახელმწიფოს მართვის უმნიშვნელოვანესი საკითხები;

გ) განსაკუთრებით საშიში დარღვევები და დანაშაულებრივი ქმედებები, ასევე შესაბამისი სასჯელის ზომა;

დ) სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობა, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა დიდი ნაწილი.

(1) **6. თანამდებობის პირის რომელ ქმედებაში ვლინდება ნეპოტიზმი?**

ა) სახელმწიფო ქონების უკანონოდ მითვისება, სარგებლობა ან განკარგვა;

ბ) გადასახადების დამალვა და უკანონო შემოსავლის კანონიერად გასაღება;

გ) საკუთარი ძალაუფლების გამოყენება სხვა პირების დასაშინებლად მომსახურების მიღების ან ქონების გამოძალვის მიზნით;

დ) ნათესავის ან ახლობლის დანიშვნა გარკვეული სახის თანამდებობაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას საკმარისი კვალიფიკაცია არ გააჩნია.

(1) **7. დავალებაში არასრულადაა მოცემული სქემა, რომელიც ასახავს საქართველოს მოქალაქეობის მიღების საფუძვლებს. მოქალაქეობის მოპოვების რომელი ფორმა უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის ნაცვლად?**

ა) მიგრაციით;
ბ) ინტეგრაციით;
გ) ოპტიმიზაციით;
დ) ნატურალიზაციით.

(1) **8. რა მიზანს ემსახურება დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილების პრინციპი?**

ა) ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის კონფლიქტის არ დაშვებას და მათ შორის უთანხმოების აღკვეთას;

ბ) ერთი ჯგუფის ან პიროვნების ხელში ძალაუფლების კონცენტრაციისგან დაცვას და პოტენციური ტირანიის თავიდან არიდებას;

გ) მაქსიმალური ძალაუფლების გადაცემას აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის და დანარჩენი შტოების მისდამი დაქვემდებარებას;

დ) ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის იერარქიული დამოკიდებულების ხელშეწყობას და მთავრობის ფორმირებაში თანამონაწილეობის უზრუნველყოფას.

(1) **9. მასმედია, როგორც „მეოთხე ხელისუფლება“, *არ ასრულებს* თავის როლს, თუკი:**

ა) ხელს უწყობს ხელისუფლების ინტერესების გატარებას და უყურადღებოდ ტოვებს მათ ანგარიშვალდებულებას;

ბ) სკეპტიკური პოზიციიდან აფასებს ხელისუფლების, ბიზნესისა და სხვა გავლენიანი ორგანიზაციების მოქმედებებს;

გ) იკვლევს და საზოგადოების ყურადღებას მიმართავს ძალაუფლებაში მყოფთა კორუფციული გარიგებებისაკენ;

დ) უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და საზოგადოების ინფორმირებას პოლიტიკურ პროცესებზე.

(1) **10. როგორ განიმარტება გენდერული კვოტა?**

ა) კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორუფლებიანობის პრინციპის დანერგვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

ბ) ქალთა ემანსიპაციის შემადგენელი ნაწილი, რომელიც არის მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტი;

გ) კანონით განსაზღვრული ნორმა პოლიტიკურ ინსტიტუციებში ქალთა მონაწილეობის გასააქტიურებლად;

დ) სოციალურ-პოლიტიკურ აქტივობებში ქალთა მონაწილეობის ხარისხის განმსაზღვრელი ერთეული.

(1) **11. საქართველოს კონსტიტუციის დებულებებში აღწერილი ადამიანის უფლებებიდან, რომელი შეესაბამება სამოქალაქო უფლებების ჯგუფს?**

ა) დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. მოქალაქეებს უფლება აქვთ სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება;

ბ) დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ;

გ) სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე;

დ) ყველას აქვს უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე. ყველას აქვს პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება.

(1) **12. ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება ინკლუზიური განათლების ძირითად მიზნებს?**

I. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

II. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლება.

III. მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებისათვის რესურსების მობილიზება და დასაქმებისათვის საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით მათი უზრუნველყოფა.

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ II და III;

გ) მხოლოდ I და III;

დ) სამივე შეესაბამება.

(1) **13. რომელი მსჯელობა გამოხატავს მართებულად ტრადიციულ და არატრადიციულ ენერგიის წყაროებს შორის განსხვავებას?**

ა) არატრადიციული ენერგიის წყაროები ბუნებაში ხელოვნურად იქმნება სპეციალური ქიმიური რეაქციების მეშვეობით, განსხვავებით ტრადიციულისგან, რომელიც ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთაა;

ბ) არატრადიციული ენერგია არ ითვლება სანდოდ, რადგან მისი გამოყენება ბევრ ტექნიკურ პრობლემას ქმნის, ხოლო ტრადიციული ენერგია უზრუნველყოფს გამართული სისტემის ფუნქციონირებას ყოველგვარი რისკის გარეშე;

გ) ტრადიციული ენერგიის წყაროები ემყარება შეზღუდული რესურსების გამოყენებას და გარემოზე მაღალი ზემოქმედებით ხასიათდება, ხოლო არატრადიციული ენერგია განახლებადია და ეკოლოგიურად მეტად უსაფრთხოა;

დ) ტრადიციული ენერგიის გამოყენება თანამედროვე სამყაროში აუცილებელია იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ეკონომიკური სტაბილურობა და ტექნოლოგიური პროგრესი, ხოლო არატრადიციული ენერგია მხოლოდ ექსპერიმენტული ხასიათისაა.

(1) **14.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაულის ჩამდენი უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად შეიძლება ---------- იყოს სხვა სახელმწიფოში ან გადაეცეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს.

ა) ინტეგრირებული;

ბ) იმპორტირებული;

გ) დეგრადირებული;

დ) ექსტრადირებული.

(1) **15.** ადამიანებს ზოგჯერ უწევთ, სხვადასხვა მიზეზის გამო დატოვონ მშობლიური ქვეყანა და საცხოვრებლად უცხოეთში გადავიდნენ. ეკონომიკური სირთულეები და პოლიტიკური რეპრესიები, ან უკეთესი განათლებისა და წარმატებული კარიერის სურვილი ხშირად ხდება ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში ---------- მიზეზი.

ა) მიგრაციის;

ბ) დეპორტაციის;

გ) სუბორდინაციის;

დ) დისკრიმინაციის.

(1) 16. რა მოვლენა არის ასახული ილუსტრაციაზე?



ა) ცენზურა;

ბ) გენოციდი;

გ) პლურალიზმი;

დ) ინდოქტრინაცია.

(1) **17. წაიკითხეთ ერლ უორენის ციტატაში აღწერილი სიტუაცია და უპასუხეთ კითხვას:**

„თეთრ და ფერადკანიან ბავშვთა განცალკევებას საჯარო სკოლებში მავნე შედეგი მოაქვს ფერადკანიანი ბავშვებისთვის. გავლენა უფრო დიდია, როდესაც ის კანონით არის გათვალისწინებული, ვინაიდან რასების გამიჯვნის პოლიტიკა ჩვეულებრივ განიმარტება, როგორც შავკანიან ჯგუფთა არასრულფასოვნების აღმნიშვნელი... ამის საპირისპირო ყოველი მსჯელობა კი უარყოფილია. ჩვენ ვასკვნით, რომ საჯარო განათლების სფეროში მოძღვრებას „გამიჯნული, მაგრამ თანასწორი“ ადგილი არ აქვს. განცალკევებული საგანმანათლებლო დაწესებულებები არსებითად უთანასწოროა.“

დისკრიმინაციის რომელ ფორმას აკრიტიკებს ავტორი?

ა) ქსენოფობიას;

ბ) სეგრეგაციას;

გ) ბულინგს;

დ) სექსიზმს.

(1) **18.** ცხრილში მოცემულია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ 2023 წელს ჩატარებული ახალგაზრდობის კვლევის მონაცემები. მონაცემი ასახავს პასუხს შეკითხვაზე: რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუტებს:



რომელი მსჯელობა შეესაბამება ცხრილის მონაცემებს?

ა) ქალაქებში უფრო მაღალია რელიგიური ინსტიტუციების მიმართ ნდობა, ვიდრე სოფლად;

ბ) ყველა ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მაღალი ნდობით ეროვნული მთავრობა სარგებლობს;

გ) ინსტიტუტებს შორის ყველაზე მაღალი ნდობა ყველა კატეგორიაში ჯარის მიმართ არსებობს;

დ) რაც უფრო მაღალია განათლება, მით უფრო მაღალია სასამართლოსადმი ნდობა.

(1) 19. ინფოგრაფიკა ასახავს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 2023 წლის მაჩვენებლებს საქსტატის მონაცემებით:

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების წილი 2023 წელს (%)



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი ეკონომიკის სექტორების მიხედვით

მლნ. აშშ დოლარი	
სექტორი	2023
სულ	**1 902.2**
მათ შორის:	
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	583.6
ვაჭრობა	314.3
დამამუშავებელი მრეწველობა	301.5
ტრანსპორტი	165.4
ინფორმაცია და კომუნიკაცია	119.6
დანარჩენი სექტორები	417.9

რომელი მსჯელობა შეესაბამება ინფოგრაფიკის მონაცემებს?

ა) საფინანსო და სადაზღვევო სექტორები ყველაზე ნაკლებად ვითარდება და უცხოურ ინვესტიციებს ვერ იზიდავს;

ბ) ინვესტიციები ყველაზე მეტად დამამუშავებელ მრეწველობაშია კონცენტრირებული, რაც მიანიშნებს ამ სექტორის დიდ მნიშვნელობაზე;

გ) იაპონიიდან საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციების წილი აღემატება საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებიდან შემოსულ ინვესტიციების წილს;

დ) საქართველოს ეკონომიკაში უმსხვილესი პირდაპირი ინვესტიციები დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, ნიდერლანდებიდან და გაერთიანებული სამეფოდან ხორციელდება.

(1) **20. ყურადღებით გაეცანით ამონარიდს სტატიიდან და უპასუხეთ კითხვას:**

ევროკავშირის შექმნამ ძალიან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიოს პოლიტიკურ გარემოზე, თუმცა ბევრი მიიჩნევს, რომ მთავარი ცვლილება მსოფლიო ეკონომიკამ განიცადა, ვინაიდან სავაჭრო ხელშეკრულებებმა და ტვირთთა შეუფერხებელმა მიმოცვლამ ხელი შეუწყო სამუშაო ადგილების შექმნას. მეორე მხრივ, საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის გავლენა სხვადასხვა კულტურებს შორის კავშირების დამყარების პროცესზე. ის, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს საშუალება აქვთ განათლება სხვა წევრ ქვეყნებში მიიღონ და სურვილის შემთხვევაში, არაწარმოშობის ქვეყანაში გააგრძელონ ცხოვრება, ცალსახად ხელს უწყობს კულტურათა შერწყმას და ხალთა დაახლოებას.

მიუხედავად ამგვარი ინტეგრაციული პროცესისა, არსებობენ სკეპტიკოსებიც, რომლებიც ევროპის მომავალს ბუნდოვნად ხედავენ და თვლიან, რომ გამოწვევები, რომელთა წინაშეც ეს გაერთიანება ბოლო წლებში დგას, არ იძლევა იმის პროგნოზირების საშუალებას, თუ როგორი იქნება მისი მომავალი. სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, მიიჩნევა, რომ ადამიანებს თანამშრომლობით ბევრად უფრო ეფექტიანად შეუძლიათ პრობლემების აღმოფხვრა, ვიდრე ცალ-ცალკე და სწორედ ამ გამოცდილებას ემყარება რწმენა, რომ ევროკავშირი მომავალში ბევრი გამოწვევის წარმატებით დაძლევას შეძლებს.

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა ფაქტი და არა მოსაზრება?

ა) ევროკავშირის შექმნამ ყველაზე მეტად მსოფლიო ეკონომიკაზე მოახდინა გავლენა;

ბ) მიუხედავად ბევრი დადებითი მხარისა, ევროკავშირის მომავალი ბუნდოვნად გამოიყურება;

გ) ევროკავშირში არსებულმა მოქალაქეთა მობილობამ ხელი შეუწყო ევროპის ხალხთა დაახლოებას;

დ) ადამიანებს პრობლემების აღმოფხვრა უფრო მარტივად შეუძლიათ თანამშრომლობის გზით, ვიდრე ინდივიდუალურად.

(1) **21. გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ კითხვას:**

„ბუნებრივად, როგორც ოჯახთან, ისე სხვა საგნებთან შედარებით, პირველი არის ქალაქი-სახელმწიფო, რადგან მთელი აუცილებლად წინ უსწრებს ნაწილს და მთელის მოსპობა სპობს ხელს, ფეხს და სხვას. თუმცა მათ მაინც შეიძლება ვუწოდოთ ხელი ან ფეხი, ისევე როგორც, ხელს ან ფეხს უწოდებენ ქვისგან გამოთლილსაც. ადამიანის სიკვდილის შემდეგ ხელი მხოლოდ სიტყვიერად იწოდება ხელად. ყოველი საგანი განსაზღვრულია როგორც მოქმედებით, ისე თავისი უნარით, ამიტომ თუ მას ეს თვისებები აღარ აქვს, მაშ, ის არც არსებობს და თუ არსებობს, მხოლოდ სიტყვიერად.

ამრიგად, ცხადია, რომ სახელმწიფო ბუნებრივად უფრო პირველადია, ვიდრე ცალკეული ადამიანი და თუ ადამიანებს სახელმწიფოსაგან დაცილებულთ არ შეუძლიათ არსებობა დამოუკიდებლად, მაშ, მათ ისეთივე დამოკიდებულება აქვთ სახელმწიფოსთან, როგორიც სხვა ნაწილებს მთელთან, მაგრამ ვისაც არ შეუძლია სახელმწიფოში ყოფნა, ან არ სჭირდება ის დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, მაშინ ის ან მხეცია, ან ღმერთი.“

არისტოტელე, ,,პოლიტიკა“.

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?

ა) ქალაქ-სახელმწიფო არის ადამიანისგან დამოუკიდებელი წარმონაქმნი და მას ადამიანების გარეშე არსებობაც შეუძლია;

ბ) სახელმწიფო ბუნებრივად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეული ადამიანი, რადგან ადამიანი მისი ნაწილია და მის გარეშე ვერ იარსებებს;

გ) თუ ადამიანს არ სჭირდება სახელმწიფო, მაშინ ის აუცილებლად წმინდანია და ღმერთის მსგავსად შეუძლია სრულყოფილად იცხოვროს;

დ) ცალკეული პიროვნებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფო, რადგან ისინი განსაზღვრავენ მის არსებობას და კეთილმოწყობას.

ინსტრუქცია

რუკის ანალიზი (№22-24)

დავალებაში მოცემულია მსოფლიო რუკა, რომელიც ასახავს 2023 წელს სხვადასხვა ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის ხარისხს. მას ახლავს სამი კითხვა არჩევითი პასუხებით. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს.



1. კანადა; 2. ა.შ.შ.; 3. კუბა; 4. ჩილე; 5. არგენტინა; 6.ირლანდია;
7. ნორვეგია; 8. გერმანია; 9. უკრაინა; 10. ალჟირი; 11.ეგვიპტე; 12. თურქეთი;
13. აზერბაიჯანი; 14. ირანი; 15. ავღანეთი; 16. რუსეთი; 17. მონღოლეთი;
18. ჩინეთი; 19. იაპონია; 20. ავსტრალია.

(1) **22. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის ხარისხი:**

ა) რუსეთში უფრო დაბალია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში;

ბ) იაპონიაში უფრო დაბალია, ვიდრე ირანში;

გ) კუბაზე უფრო მაღალია, ვიდრე უკრაინაში;

დ) ჩინეთსა და გერმანიაში თანაბარია.

(1) **23. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელ ჩამონათვალშია დალაგებული ქვეყნები სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის ხარისხის მატების მიხედვით?**

ა) ნორვეგია, ალჟირი, კანადა;

ბ) ავსტრალია, ჩილე, ირლანდია;

გ) ეგვიპტე, თურქეთი, არგენტინა;

დ) აზერბაიჯანი, მონღოლეთი, ავღანეთი.

(1) **24. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?**

ა) ავტორიტარულ სახელმწიფოებში სამოქალაქო საზოგადოება უფრო აქტიურია, ვიდრე დემოკრატიულ სახელმწიფოებში;

ბ) სამოქალაქო საზოგადოება აზიის კონტინენტზე უფრო აქტიურია, ვიდრე აფრიკის კონტინენტის დასავლეთ ნაწილში;

გ) სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე სამოქალაქო საზოგადოება უფრო აქტიურია, ვიდრე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში;

დ) სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარება სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობაზეა დამოკიდებული.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№25)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

(2) **25. II სვეტში მოცემულ პოლიტიკურ იდეოლოგიებს შეუსაბამეთ I სვეტში მოცემული ძირითადი პრინციპები:**

I. ძირითადი პრინციპები	II. პოლიტიკური იდეოლოგიები
ა) სახელმწიფოსა და ერის ინტერესების უპირატესობა კერძო ინტერესებთან შედარებით; ბელადის გარშემო საზოგადოების ერთ მუშტად გაერთიანებისა და ცენტრალიზებული ხელისუფლების საჭიროება; სამხედრო ძალისა და აგრესიული ექსპანსიის პროპაგანდა.	1. კომუნიზმი 2. კონსერვატიზმი 3. ლიბერალიზმი 4. ნაციზმი 5. ფაშიზმი
ბ) საკუთარი რასის უპირატესობის იდეა; ძლიერი ნაციონალიზმი და მილიტარიზმი; სხვადასხვა ეთნიკური და პოლიტიკური ჯგუფის დევნა (ანტისემიტიზმი, რასიზმი, პოლიტიკური ოპონენტების რეპრესიები).	
გ) ტრადიციების, რელიგიისა და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა; ოჯახისა და საზოგადოების როლის პრიორიტეტულობა ინდივიდუალიზმთან მიმართებაში; სახელმწიფო ინსტიტუტებისა და იერარქიის მხარდაჭერა.	
დ) კლასობრივი სხვაობების აღმოფხვრა; წარმოებისა და რესურსების საზოგადოებრივი მფლობელობა; კაპიტალიზმისა და კერძო საკუთრების უარყოფა.	
ე) პიროვნული თავისუფლება და ადამიანის უფლებები; კერძო საკუთრებისა და საბაზრო ეკონომიკის დაცვა; სახელმწიფოს როლის შეზღუდვა ინდივიდუალურ ცხოვრებასა და ეკონომიკაში.	

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№26)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და გაასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება №26

ეკონომიკა და სახელმწიფო ბიუჯეტი

ეკონომიკა არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს რესურსების მართვას, წარმოებას, განაწილებასა და მოხმარებას. სახელმწიფოს ბიუჯეტი კი არის ფინანსური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს, რა სახის შემოსავლები და ხარჯები ექნება სახელმწიფოს. საქართველოში ბიუჯეტს სასამართლო ხელისუფლება ადგენს და პარლამენტი ამტკიცებს. ბიუჯეტის შედგენა და მისი მართვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. შესაძლოა სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი შემოსავლები და ხარჯების მოცულობა ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. იმ პირობებში, როდესაც შემოსავლების მოცულობა ხარჯების მოცულობაზე ნაკლებია, ანუ ბიუჯეტი პრეფიციტურია, სახელმწიფო იღებს სესხს პარტნიორი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების ან ქვეყნის შიგნით არსებული ბანკებისაგან.

სახელმწიფოს შემოსავლების ძირითადი წყარო გადასახადებია. გადასახადები შეიძლება იყოს საერთო-სახელმწიფოებრივი, ან ადგილობრივი. მაგალითად, ადგილობრივი გადასახადის ტიპია აქციზის გადასახადი, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადია საშემოსავლო გადასახადი. ამ უკანასკნელს იხდის ყველა შრომისუნარიანი პირი.

ბიუჯეტში შესული სახსრები სხვადასხვა მიმართულებით ნაწილდება: განათლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, თავდაცვა, სოციალური პროგრამები და სხვ. როდესაც სახელმწიფო დაწესებულებები სამსახურეობრივი მიზნებისათვის ბიუჯეტიდან რაიმე საქონლის ან მომსახურების შესყიდვას გეგმავენ, აცხადებენ კონკურსს, იგივე გრანტებს. მნიშვნელოვანია, რომ ეს კონკურსი იყოს გამჭვირვალე და მიღებული გადაწყვეტილება ობიექტური, რათა ბიუჯეტის სახსრები მიზნობრივად დაიხარჯოს და შემცირდეს ადიქციის რისკები, რაც პირადი ან ჯგუფური გამორჩენის მიზნით სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. მისი გავრცელებული ფორმებია მექრთამეობა, გამომძალველობა და სხვ.

გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე

სახელმწიფოს ხარჯები ასევე მოიცავს პენსიებსა და სოციალური დახმარების პროგრამებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სოციალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ სახის პროგრამები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას ემსახურება, რადგან დაუცველი ჯგუფების ცხოვრების დონეს აუმჯობესებს.

ეკონომიკური თავისუფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, რომელიც 1991 წლის 24 აგვისტოსაა მიღებული. ეკონომიკური პოლიტიკა ხშირად სხვადასხვა იდეოლოგიაზეა დაფუძნებული. მემარცხენე იდეოლოგიები, რომლებსაც კაპიტალისტური მიდგომა ახასიათებს, ემხრობა სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკაში. ეს შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა სფეროს სუბსიდირებით, ანუ მათი ფინანსური მხარდაჭერით. მემარჯვენე იდეოლოგიები კი საპირისპირო მიდგომით გამოირჩევიან, რაც ნაკლებად აძლევს სახელმწიფოს უფლებას, ჩაერიოს ეკონომიკურ პროცესებში და უპირატესობას ანიჭებს კერძო სექტორის თავისუფლებას. როგორც წესი, მემარჯვენეები შედარებით დაბალ გადასახადებს აწესებენ, რათა ხელი შეუწყონ ბიზნესის განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვას.

საწარმოო რესურსები ეკონომიკური განვითარების საფუძველია. არსებობს სხვადასხვა სახის საწარმოო რესურსი. მაგალითად, კაპიტალური რესურსებია მიწა, წყალი, მინერალები და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები. ადამიანური რესურსი არის სამუშაო ძალა, იგივე ზრდასრული შრომისუნარიანი ადამიანების ჯამური რაოდენობა, რომლებიც ან დასაქმებულები არიან, ან აქტიურად ეძებენ სამსახურს და მზად არიან მუშაობის დასაწყებად.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) არის მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს ქვეყნის კულტურულ აქტივობას. ის წარმოადგენს ქვეყნის შიგნით ერთი წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებას. მშპ-ის დონე ხშირად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მთავარი ინდიკატორია. რაც უფრო მცირეა სახელმწიფოში მშპ-ის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტი გაყოფილი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაზე, მით მეტია მოსახლეობის შემოსავალი და ცხოვრების დონეც შესაბამისად მაღალია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

ინსტრუქცია

სასკოლო პროექტი (№27)

დავალებაში მოცემულია პროექტის არასრული მონახაზი (აღწერილია პრობლემა და განსაზღვრულია პროექტის მიზანი). დაწერეთ ორი განსხვავებული ამოცანა და მათი განხორციელების გზები. გაითვალისწინეთ, ამოცანები უნდა შეესაბამებოდეს აღწერილ პრობლემასა და პროექტის მიზანს. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება №27

პრობლემის აღწერა/სიტუაციის ანალიზი:

თქვენ გაეცანით გამოკითხვას, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი არის ჩართული სხვადასხვა ტიპის საქველმოქმედო აქტივობაში. გამონაკლისს არც თქვენი სკოლა წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ იშვიათად თუ გეგმავს და ახორციელებს საქველმოქმედო პროექტს.

პროექტის მიზანი:

სასკოლო თემში ქველმოქმედებისა და მოხალისეობრივი კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ამოცანები: *(დაწერეთ კონკრეტული **მიმართულებები** პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად)*

<u>I ამოცანა:</u>

<u>II ამოცანა:</u>

განხორციელების გზები: *(დაწერეთ კონკრეტული **ნაბიჯები, აქტივობები** დასახული ამოცანების გადასაჭრელად)*

<u>I ამოცანის განხორციელების გზა:</u>

<u>II ამოცანის განხორციელების გზა:</u>

ინსტრუქცია

ილუსტრაციის ანალიზი (№28)

გაეცანით დავალებაში მოცემულ ილუსტრაციას. გააანალიზეთ იგი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება №28



(1) 28.1 იმსჯელეთ, რა პრობლემას ასახავს მოცემული ილუსტრაცია.

(1) 28.2 იმსჯელეთ, ილუსტრაციაზე ასახული პრობლემის განმაპირობებელ მიზეზებზე.

(2) 28.3 იმსჯელეთ არგუმენტირებულად, რა გავლენა აქვს აღწერილ სიტუაციას პოლიტიკურ პროცესზე და როგორ აისახება იგი მოქალაქეების კეთილდღეობაზე.

ინსტრუქცია

არგუმენტირებული მსჯელობა (№29)

გაეცანით სადისკუსიო თემას და დაასახელეთ არგუმენტები. გაითვალისწინეთ, თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი, კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული, ხოლო აზრი - დასრულებული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება №29

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა პროტესტის გამოხატვის არაძალადობრივი ფორმაა. სხვადასხვა დროს ამ ტიპის პროტესტს მიმართავდნენ სამოქალაქო აქტივისტები სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის მაჰათმა განდი, მარტინ ლუთერ კინგი. საზოგადოებაში არსებობს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სამოქალაქო დაუმორჩილებლობის იდეის მიმართ.

A. დაასახელეთ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის იდეის მომხრეთა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არგუმენტი.

B. დაასახელეთ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის იდეის მოწინააღმდეგეთა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არგუმენტი.

ინსტრუქცია

წყაროს ანალიზი (№30)

დავალებაში მოცემულია რამდენიმე წყარო, რომლებსაც ახლავს როგორც დავალებები არჩევითი პასუხებით, ასევე ღია კითხვები. გაეცანით მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება №30

წყარო N1

დავით კაკაბაძის ნაშრომი „იმერეთის პეიზაჟი, მიტინგი.“ 1942

ნახატზე ლენინისა და სტალინის გვერდით იყო ბერიას სურათი, რომელიც მოგვიანებით წაშალეს.

წყაროებზე გადასვლა: *2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *30.1* *30.2* *30.3-30.7*

წყარო N2

„ყველგან უმაღლეს მთავრობასა და ხალხს შორის სდგას ხოლმე მთელი რაზმი მოხელეებისა, რომელნიც მახლობელნი გამომთქმელნი არიან უმაღლესის მთავრობის წადილისა, მიმართულებისა და ავ-კარგიანობისა, ხალხი თუ იცნობს მთავრობას, ამ მოხელეებით იცნობს, რადგან იგინი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი, იგინი განაგებენ ყოველ-დღეს მის ავსა და კარგსა და ყოველ-დღე თვალ-წინ ტრიალებენ. უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შესაძლოა მოხელეების წყალობით ხალხმა აითვალწუნოს იგი უმაღლესი მთავრობა და იმდენად დაფრთხეს, რომ მამა-პაპეული ბინაც მოიშალოს და ცხრა მთას იქით გადავარდეს, ოღონდ თავი ცოცხალი დააღწიოს. ამიტომაც კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა, - შეადგენს ერთსა იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისთვის. ამის შემდეგ ნუღარ ჰკვირვობთ, რომ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამა-პაპეულ ბინიდამ აყრისა და გარდახვეწისა.“

ილია ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, 1879 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 3 4 5 *დავალებებზე გადასვლა:* 30.1 30.2 30.3-30.7

წყარო N3

„ყოველი პოლიტიკური კონსტიტუციის უპირველესი მიზანი არის ან უნდა იყოს ის, რომ მმართველებად სათანადო თვისებების მქონე ხალხი მიიზიდოს. ხელისუფლებაში უნდა იყვნენ ბრძენი და სიქველით გამორჩეული ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან, თუ რა არის საზოგადო სიკეთე და არაფერს დაიშურებენ მის მისაღწევად. მეორე მხრივ, პოლიტიკური კონსტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს სიფრთხილის ყველა ზომას, რათა ამ ადამიანებმა თავიანთი სიქველე მთელი იმ ხნის მანძილზე შეინარჩუნონ, ვიდრე ისინი მათდამი დაკისრებულ მოვალეობას ასრულებენ. არჩევნების გზით ხელისუფალთა მიზიდვა მმართველობის რესპუბლიკური ფორმის არსებითი მახასიათებელია. უამრავი ერთმანეთისგან განსხვავებული საშუალება არსებობს, რანიც მმართველობის ამ ფორმას გადაგვარებისგან იცავენ. მათ შორის ყველაზე ქმედითი საშუალება ისაა, რომელიც თანამდებობაზე მხოლოდ განსაზღვრული ვადით ყოფნას გულისხმობს, რაც აუცილებელია ხალხის წინაშე ჯეროვანი პასუხისმგებლობის შესანარჩუნებლად.“

ფედერალისტური წერილები, 1788 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 2 4 5 *დავალებებზე გადასვლა:* 30.1 30.2 30.3-30.7

წყარო N4

„კომუნისტებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ამა თუ იმ დაუსაბუთებელი იდეის ამოჩემება-აკვიატება. ერთ მშვენიერ დღეს ნათელი გახდება, რომ აკვიატებული იდეის განხორციელება შეუძლებელია ან ხელსაყრელი არ არის. იმის მაგიერ, რომ უარჰყონ ამგვარი იდეა, იწყებენ მის „განხორციელებას“ ძალით, დაჭერა-გადასახლებით, ტოტალური შიშის დანერგვით. [...] როცა სისხლიანი და მსხვერპლიანი აკვიატებული იდეა ჩაფლავდება, იძულებული არიან, უარი თქვან მასზე და, თავის მართლების მიზნით, ყველაფერს ამა თუ იმ პარტიულ „ბელადს“ აბრალებენ. ნამუსის გასაწმენდად „დამნაშავე ბელადს“ მსხვერპლად სწირავენ ჩაშლილ აკვიატებულ იდეას. მერე ახალი „ბელადის“ წინამძღოლობით იწყებენ ახალი აკვიატებული იდეის ძველი ძალადური მეთოდით განხორციელებას. არც ამ ახალი აკვიატებული იდეიდან გამოდის რამე, ისიც ფლავდება. ისევ მსხვერპლად ეწირება „ბელადი“. ისევ ახალი „ბელადი“ დაჯდება. ისევ ახალი აკვიატებული იდეა გაჩნდება… და ასე დაუსრულებლად.

ასე ჩამოყალიბდა სსრკ-ში პოლიტიკური მოღვაწის ახალი სახეობა - ბელადი ზვარაკი. ეს პოლიტიკოსი, სანამ პარტიული ლიდერის სკამზე ზის, ბელადია. როცა მოკვდება ან მოხსნიან - ზვარაკი. სანამ სკამზე ზის, უცდომელი ბელადია. როცა მოკვდება ან მოხსნიან, ყველა ბოროტმოქმედება მას ბრალდება და მსხვერპლად შესაწირი განტევების ვაცი ხდება.“

აკაკი ბაქრაძე, ,,მწერლობის მოთვინიერება“, 1990 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 2 3 5 *დავალებებზე გადასვლა:* 30.1 30.2 30.3-30.7

წყარო N5

„პოლიტიკის სფეროში ორი ყაიდის მომაკვდინებელი ცოდვა ბატონობს: ზერელობა და უპასუხისმგებლობა; ამასთანავე ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად ეს ორი რამ ერთმანეთს ემთხვევა. და სწორედ ამპარტავნობა, ანუ ყველაფერში თავის გამოჩენის სურვილია ის, რასაც პოლიტიკოსი ხან ერთ ცოდვაში შეჰყავს, ხან მეორეში; ანდა ორივეში ერთდროულად. რაც უფრო ძლიერადაა შემართული დემაგოგი „ზემოქმედების“ მოსახდენად, მით მეტია საფრთხე, როგორც მსახიობად ქცევისა, ასევე იმისა, რომ ზერელედ მოეკიდოს თავისი მოღვაწეობის შედეგებს და მარტოოდენ მოხდენილი შთაბეჭდილებით დაინტერესდეს; რაკიღა ზერელედ მოქმედებს, ამიტომ ნამდვილ ძალაუფლებას კი არ მიელტვის, არამედ მის ბრჭყვიალა ანარეკლს; უპასუხისმგებლოც რომაა, ამის გამო რაიმე ღირებულ მიზანს კი არ ესწრაფვის, არამედ ტკბება ძალაუფლებით მარტოოდენ ძალაუფლების გულისთვის; და რადგანაც ძალაუფლება აუცილებელი საშუალებაა, ხოლო მისკენ სწრაფვა ყოველი პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა, სწორედ ამიტომ პოლიტიკურ ნიჭს ვერაფერი რყვნის ისე, როგორც ძალაუფლებით მატრაბაზული ტრაბახი თუ მედიდური თავმოწონება; ერთი სიტყვით, ყველანაირი თაყვანისცემა წმინდა ძალაუფლებისა.“

მაქს ვებერი, „პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა“, 1919 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 2 3 4 *დავალებებზე გადასვლა:* 30.1 30.2 30.3-30.7

(1) **30.1 N5 წყაროს მიხედვით, რატომ თვლის მაქს ვებერი უპასუხისმგებლობას პოლიტიკურ სფეროში მომაკვდინებელ ცოდვად?**

ა) უპასუხისმგებლობა პოლიტიკოსს წმინდა ძალაუფლებით ტკბობისკენ უბიძგებს, რაც მისი პოლიტიკური ნიჭის გარყვნას უწყობს ხელს;

ბ) პოლიტიკოსები ხშირად მარტოოდენ შთაბეჭდილების მოხდენით ინტერესდებიან, რაც მათ ხელს უწყობს რეალური ძალაუფლებისაკენ სწრაფვაში;

გ) უპასუხისმგებლობა და ზერელე დამოკიდებულება ყველა პოლიტიკოსის მამოძრავებელი ძალაა, ხოლო რეალური შედეგები მათ არ აინტერესებთ;

დ) პოლიტიკურ სფეროში აქტიური მოღვაწეობა ადამიანში აღძრავს თავის გამოჩენის დაუოკებელ სურვილს, რის გამოც ძალაუფლებისკენ მხოლოდ მორალურად უპრინციპო პოლიტიკოსი ილტვის.

წყაროებზე გადასვლა: 1 2 3 4 5 *დავალებებზე გადასვლა:* 30.2 30.3-30.7

(1) **30.2 ილია ჭავჭავაძის ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?**

ა) მეცხრამეტე საუკუნეში უმაღლესი მთავრობა ხალხის ინტერესების დაკმაყოფილების ნაცვლად, საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებით იყო დაკავებული;

ბ) ხალხის ინტერესების დასაცავად უპირველესი და აუცილებელი საჭიროებაა მკაცრი და ეფექტური კანონები და არა უმაღლესი მთავრობის ჰუმანური საკადრო პოლიტიკა;

გ) უმაღლესი მთავრობისადმი ხალხის დამოკიდებულებას განაპირობებს ადილობრივი მოხელეების პროფესიონალიზმი, ვინაიდან ხალხს მთავრობასთან სწორედ მოხელეების გავლით აქვთ ურთიერთობა;

დ) უმაღლესი მთავრობა ხშირად არ ასრულებს ხალხის დაკვეთას, რის გამოც მოსახლეობა სხვა ქვეყანას ირჩევს საცხოვრებლად და მხოლოდ ადგილობრივ მოხელეებს შეუძლიათ მთავრობის თავგასულობის დაბალანსება.

(1) 30.3 აკაკი ბაქრაძის ტექსტის გამოყენებით ახსენით, რა შეიძლება ყოფილიყო N1 წყაროში მოცემული ნახატიდან ბერიას გამოსახულების გაქრობის მიზეზი.

(2) 30.4 აკაკი ბაქრაძის ტექსტის მიხედვით, რა ფუნქციას ასრულებს კომუნისტური მმართველობისათვის „ბელადი ზვარაკი“? იმსჯელეთ, რა პრობლემის წინაშე დგას ამგვარი მმართველობა.

(2) 30.5 რა არის მაქს ვებერის აზრით პოლიტიკურ სფეროში გაბატონებული მომაკვდინებელი ცოდვების, ზერელობისა და უპასუხისმგებლობის საფუძველი? იმსჯელეთ, რა უნდა იყოს პოლიტიკური ძალაუფლების ფლობის ნამდვილი მიზანი.

(2) 30.6 N3 წყაროს მიხედვით, რა დემოკრატიული მექანიზმი იცავს რესპუბლიკურ მმართველობას გადაგვარებისაგან? იმსჯელეთ არგუმენტირებულად, რამდენად ქმედითია ეს მექანიზმი რესპუბლიკური მმართველობის შესანარჩუნებლად.

(2) 30.7 რატომ არის „ხალხის წინაშე ჯეროვანი პასუხისმგებლობის შენარჩუნება“ მნიშვნელოვანი თავად პოლიტიკოსისათვის? იმსჯელეთ არგუმენტირებულად, რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამ პრინციპის დარღვევამ მოქალაქეთა ცხოვრებაზე.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *30.1* *30.2*